07/11/2022

რუმინეთის პატრიარქი: “მთელი რუმინელი ხალხის სახელით ვუსამძიმრებ კვიპროსის ეკლესიას”

,,ღრმა მწუხარებით შევიტყვეთ ჩვენი ქრისტესმიერი საყვარელი ძმის გარდაცვალების შესახებ, რომელიც მან ასე მამაცურად გადაიტანა, იგი გახლდათ თანამედროვე მართლმადიდებლობის ცნობილი პიროვნება.

ვიზიარებთ ამ დანაკარგით გამოწვეულ მწუხარებას და რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების, სასულიერო პირებისა და მორწმუნეების სახელით ძმურ სამძიმარს ვუცხადებთ წმინდა სინოდის წევრებს და კვიპროსის მთელ ეკლესიას.

ჩვენ ვლოცულობთ ქრისტეს წინაშე რათა მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოს II-ის სული მართალებთან ერთად ყოვლადწმიდა სამების ნათელში, მშვიდობასა და სიყვარულში განმწესდეს!

მარადიული ხსოვნა იყოს მისი თაობიდან თაობამდე!

დანიელი პატრიარქი სრულიად რუმინეთისა.”

wenews.ge